განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
13 მაისი, 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

11.06.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გეოგრაფია GEOGRAPHY
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	გეოგრაფიის ბაკალავრი BACHELOR OF GEOGRAPHY
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები 0532
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, გადაწყვეტილება № 345 2011 წელი, 25 ნოემბერი ქ. თბილისი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფ. მალხაზ ღვინილია, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ელიზბარაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დეკანოიძე -აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს სწავლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, მოქმედი კანონმდებლობით თანახმად.
უნივერსიტეტში გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 25 ნოემბრის N345 გადაწყვეტილების საფუძველზე, აკრედიტებულ რეჟიმში. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 თებერვლის N222 განკარგულებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ვადად განისაზღვრა 2021 წლის 1 ივლისი.

გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის აღჭურვას დარგისთვის აუცილებელი კომპეტენციებით, რომლებიც წარმოადგენს ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობას. სასწავლო კურსების მიზანი, სწავლის შედეგი და სწავლების მეთოდები გამომდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნიდან და სწავლის შედეგებიდან. სასწავლო კურსები სტუდენტს უყალიბებს დარგობრივ კომპეტენციებს და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს. პროგრამის მოცულობა 240 კრედიტია (1 ECTS კრედიტი შეესაბამება 25 საათს). სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსებს ეთმობა 180 კრედიტი და 60 კრედიტს შეადგენს დამატებითი სპეციალობის კურსები.

პროგრამის განახლების პროცესში სწავლის შედეგების შეფასების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელდა, როგორც ახალი თანამედროვე დისციპლინებით პროგრამის გამდიდრება, ასევე შეიცვალა შეფასების კომპონენტები და მეთოდები. პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრირებით.

აკრედიტაციის მიზნებისთვის წარდგენილ პროგრამაში განახლდა პროგრამის მიზნები, სტრუქტურა, დაზუსტდა სასწავლო კურსების წინაპირობები და სწავლის შედეგები თანამედროვე ტენდენციების და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, განახლდა პროგრამის სტრუქტურა და შემუშავდა პროგრამის რუკა. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე პირები.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა შენიშვნა პროგრამის თვითშეფასებაში მითითებული დეტალური სფეროს დასახელებისა და კოდის ცვლილების ტექნიკური ხარვეზის თაობაზე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, წარმოადგენს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები 0532.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 21 აპრილის N MES3210000367324 ბრძანების შესაბამისად, განისაზღვრა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა: ა) მალხაზ ღვინჯილია (თავმჯდომარე); ბ) მარიამ ელიზბარაშვილი (წევრი); გ) სოფიო უგრეხელიძე (წევრი); დ) ნინო დეკანოიძე (წევრი). დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა ადგილზე ვიზიტით, ხოლო პროგრამის აკრედიტაციის სხვა სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ქვეყანაში არსებული პანდემიის ვითარების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან შეხვედრა და ინტერვიუ განხორციელდა ელექტრონული კომუნიკაციის პლატფორმა zoom-ის საშუალებით.

აკრედიტაციის ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უზრუნველყო ჯგუფის შეხვედრა, მოსაზრებების გაზიარება და ფუნქცია-მოვალეობების განაწილება.

2021 წლის 13 მაისს, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შემდგომ, დღის წესრიგის მიხედვით, ჩატარდა ინტერვიუ შემდეგ ჯგუფებთან:
1.უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან
2.თვითშეფასების ჯგუფთან;
3.დაწესებულების/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელ(ებ)თან
4. პროგრამის ხელმძღვანელებთან;
4.აკადემიურ პერსონალთან;
5.მოწვეულ პერსონალთან;
6.სტუდენტებთან;
7.კურსდამთავრებულებთან;
8.დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან;

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო აკრედიტაციის ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტების განხილვის, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე შემოწმებისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული გასაუბრებების გათვალისწინებით, შეფასდა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა და დადგინდა შემდეგი:

სტანდარტი 1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
1.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
2.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.3. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.4. –შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.5. –შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.6. –მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
3.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2. - არ ფასდება

სტანდარტი 4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
4.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
5.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები:**

- **2.3. სტანდარტთან დაკავშირებით**
  - სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტის თემატიკა დეტალურად უნდა იყოს გაწერილი;
  - სასწავლო კურსში - მეტეოროლოგია კლიმატოლოგია 30 წლის წინანდელი ლიტერატურა ძირითად ლიტერატურაში არ იყოს წარმოდგენილი.

- **2.6. სტანდარტთან დაკავშირებით**
  - აუცილებელია ყველა სილაბუსში თითოეული შეფასება დეტალურად იყოს ჩაშლილი თითოეული ქულის დონეზე, რაც სტუდენტთა შეფასებას უფრო ეფექტურს გახდის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - **1.2. სტანდარტთან დაკავშირებით**

პროგრამის სწავლის მიზნები შესაბამისობაშია შედეგებთან, თუმცა შედეგებში ძალიან ხშირად ვხვდებით ზმნას „შეუძლია“ და ან“ შეძლებს“ ან **„ფართოდ იცის“, „ფართო თეორიული ცოდნის საფუძველზე შეძლებს“, „შეუძლია ფართო ცოდნის საფუძველზე**“. აღნიშნული ფორმულირებით ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები მოკლებულია სიზუსტესა და გაზომვადობას. შესაბამისად, სასურველია, ეს ზმნები გაწერილი იყოს ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით და ფორმულირდეს იმგვარად, რომ პროგრამის მიზნების მიღწევადობის დასადგენად, შესაბამისი კვლევის ჩატარების შემთხვევაში, გაზომვადი და შეფასებადი იყოს სტუდენტთა მიერ მიღებული ცოდნა და შესაბამისი კომპეტენციები.

  - **2.1. სტანდარტთან დაკავშირებით**

მიზანშეწონილია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრა იმგვარად, როგორც ეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტითაა გათვალისწინებული, კერძოდ, ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს. თუმცა თუკი დაწესებულებას სურს ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა უფრო მეტად დაკონკრეტება, ასეთ შემთხვევაში, სასურველია ჩარიცხვის მეთოდები და ჩარიცხვის უფლების მოპოვების მქონე პირთა წრე, დაშვების წინაპირობებში ჩამოთვლილი იქნეს სრულყოფილად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამჟამად, პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობებში, ჩარიცხვის მეთოდების ჩამონათვალი საჭიროებს დაზუსტებას, რადგან „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, გარდა პროგრამის წინაპირობებში მითითებულისა, ითვალისწინებს ჩარიცხვის სხვა მეთოდებსაც.

  - **2.3. სტანდართან დაკავშირებით**

სასწავლო კურსში-მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია, VIII-X სალექციო თემატიკას წარმოადგენს -„ევროპის ტურიზმის გეოგრაფია“. მიზანშეწონილია რეგიონალური პრინციპით თემების ჩაშლა (მაგ. დასავლეთ ევროპის, სამხრეთ ევროპის, აღმ.ევროპის).

  - **2.5. სტანდარტთან დაკავშირებით**

სასურველია, სტუდენტების აქტიური ჩართულობა კვლევით პროექტებში

  - **3.1. სტანდარტთან დაკავშირებით**

სასურველია, უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას

  - **4.2. სტანდარტთან დაკავშირებით**

სასურველია, გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში.

  - **5.1. სტანდარტთან დაკავშირებით:**

მიზანშეწონილია უზრუნველყოფილ იქნეს უფრო აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა ხარისხის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელებსა და პერსონალს შორის, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

  - **5.2. სტანდარტთან დაკავშირებით**

მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა არამხოლოდ სააკრედიტაციოდ მზადების მიზნებისათვის, არამედ რეგულარულად გამოიყენოს პროგრამის გარე შეფასების ისეთი მექანიზმი, როგორიცაა გარე ექსპერტიზა (განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება და სხვ.). ამასთან, პროგრამას მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პროგრამის შეფასება ამ დაწესებულებების იმ პერსონალის მიერ, რომლებიც ჩართულები არიან მსგავსი პროგრამების განხორციელებაში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

2017 წლიდან უნივერსიტეტში დაინერგა ელექტრონული პლატფორმა www.apa.bsu.edu.ge. აღნიშნული პორტალი შექმნილია უნივერსიტეტის მიერ, რომელზე დაშვება უზრუნველყოფილია პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისთვის. პორტალის მეშვეობით განხორციელდა უნივერსიტეტში მიმდინარე ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების ავტომატიზაცია და გაელექტრონულება, რამაც ხელი შეუწყო ხარისხის შიდა მექანიზმების ეფექტურად გამოყენებას და შესაბამისი შედეგების მიღწევას გამჭვირვალედ და ობიექტურად.

მოსაზრებები სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინასწარი დასკვნის მიმართ არგუმენტირებულ პოზიციებთან დაკავშირებით

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული დოკუმენტაციით დგინდება, რომ მეორე და მესამე რეკომენდაცია ჩაასწორეს და ვთვლით რომ ეს ჩასწორება მისაღებია. რაც შეეხება პირველ რეკომენდაციაზე არგუმენტირებულ პოზიციებს, ექსპერტთა ჯგუფი მას არ ეთანხმება და ჩვენს პოზიციებს წარმოვადგენთ ზეპირი მოსმენის დროს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში მკაფიოდ არის ასახული ის ცოდნა და უნარები, რომელთა განვითარებაც გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში. კერძოდ, პროგრამის მიზანია: ➢ დედამიწაზე არსებული ობიექტებისა და სისტემების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სივრცით-დროით ასპექტების, მიწის ქერქში მიმდინარე ენდოგენური და ეგზოგენური პროცესების შედეგად რელიეფისა და ბუნებრივი ლანდშაფტების ფორმირების თავისებურებების, აგრეთვე, ამ გარემოში სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ცვლილებებისა და საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის შედეგების ურთიერთზემოქმედების განვითარების დინამიკის შესწავლა; ➢ ბუნებრივი გარემოს და მისი სისტემებისადმი ინტერდისციპლინური მიდგომით კომპლექსურ-გეოგრაფიული პრობლემების შესწავლა, რომელიც გარდა თეორიული ცოდნისა ეფუძნება პრაქტიკულ მეცადინეობებს და საველე პრაქტიკებს, რის საფუძველზეც სტუდენტი დამოუკიდებლად უზრუნველყოფს მასალების შეგროვებას, ანალიზს და პრაქტიკაში რეალიზაციას; ➢ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების პროცესში პრიორიტეტების გათვალისწინებით საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დაუფლების, უახლესი სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და საკუთარი საქმიანობის განხორციელების უნარის გამომუშავება. ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გეოსისტემების პრაქტიკულ ღირებულებათა დამკვიდრების პროცესში პროფესიული პასუხისმგებლობისა და სათანადო ეთიკური ნორმების გაცნობიერება. უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმისა და დებულების შესაბამისად, ყურადღება მახვილდება კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი

სპეციალისტის – გეოგრაფის მომზადებაზე, რომელიც იქნება მშობლიური ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და ტრადიციის პატივისცემის მქონე მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების და აქტიურობის, ჰუმანიზმისა და დემოკრატიის ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი მომავალი პროფესიის არსი და სოციალური მნიშვნელობა, არის თავისუფალი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი პიროვნება. პროგრამა კონკურენტუნარიანია და ორიენტირებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, იგი მიღწევადია, რადგან როგორც კვლევები ადასტურებს, კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან როგორც საგანმანათლებლო, ასევე ბუნებრივი გარემოს დაგეგმვისა და მართვის სამსახურებში, მიწის მართვის სისტემაში, ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ორგანოებსა და კომპანიებში, ამინდის პროგნოზირების, მეტეოროლოგიისა და ჰიდროლოგიის სამსახურებში და საჯარო სკოლებში გეოგრაფიის მასწავლებლად. პროგრამის მიერ დასახული მიზნები გამჭვირვალეა, მიღწევადია და მიმართულია გეოგრაფიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა. დანართი 1.1.1; ○ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია დანართი 1.1.2; ○ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა. დანართი 1.1.3; ○ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა. დანართი 1.1.4; ○ ფაკულტეტის დებულება. დანართი 1.1.5; ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/95 დადგენილება „ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გამტკიცების შესახებ“. დანართი 1.1.6; ○ ვებ-გვერდი - www.bsu.edu.ge დანართი 1.1.7. ○ ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიიძენს პროგრამის დასრულებისას.

პროგრამის კურიკულუმში მოცემულია შედეგების შემდეგი ფორმულირება:

1. ფართოდ იცის დედამიწაზე ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების სივრცე-დროითი ასპექტების განვითარების თავისებურებები და მათ ფარგლებში მიმდინარე პროცესები;

2. ფართო თეორიული ცოდნის საფუძველზე შეძლებს ბუნებრივ და საზოგადოებრივ გარემოს შორის დამოკიდებულების კრიტიკულ გააზრებას და დასახავს მათი განვითარების ოპტიმიზაციის ზოგიერთ უახლეს ასპექტს;

3. საბაზისო და დამხმარე დისციპლინების საშუალებით აცნობიერებს გლობალურ დონეზე მსოფლიოში მიმდინარე ფიზიკურ-გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს;

4. შეუძლია გეოგრაფიული კვლევის მეთოდების გამოყენებით ბუნებრივ პროცესებზე მონიტორინგი და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ მიმდინარე საკითხების გაანალიზება;

5. ანალიზს უკეთებს საველე კვლევის შედეგად მოპოვებულ მასალებს, აცნობიერებს ზოგადგეოგრაფიულ რუკებს, იცის გეოგრაფიული ხელსაწყოების გამოყენების წესები და შეუძლია საველე მუშაობის დროს სივრცეში ორიენტაცია, ასევე გეოინფორმაციული რუკის შედგენა-წაკითვა;

6. შეუძლია ბუნებრივ გარემოში წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად მონაცემთა შეგროვება-დამუშავება, საველე ტოპოგეგმვის ჩატარება და გეგმის შედგენა, წყლებისა და კლიმატის გაზომვა-დაკვირვება, პალეოგრაფიული სურათის აღდგენა და ხელმძღვანელის დახმარებით კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ ნაშრომის განხორციელება;

7. შეუძლია სხვადასხვა სამუშაო გარემოში ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში მომხდარი ცვლილებების ანალიზის საფუძველზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა;

8. შეუძლია ფართო ცოდნის საფუძველზე მულტიდისციპლინარულ გარემოში საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება, ცოდნის მუდმივი განახლება და დამოუკიდებლად თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით მისი წარდგენა;

9. შეუძლია გეოგრაფიულ დისციპლინებში საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების, შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე საფეხურის აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა/განახლებაში ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები, ფაკულტეტი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს ზემოთ ჩამოთვლილი მხარეებისგან მიღებულ უკუკავშირს.

პროგრამის განახლების პროცესში გამოყენებული იქნა ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი და შესაბამისი პროცედურები.

სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული, არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური. პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა ასახულია პროგრამის რუკაში, რომელიც ადგენს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის სტრუქტურასთან და ინდივიდუალური სასწავლო კომპონენტების კონტრიბუციას მათ განვითარებაში.

განახლებული საბაკალავრო პროგრამის ამოქმედებისთანავე განხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასების მექანიზმი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დაეყრდნობა, როგორც ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესს, ასევე, პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას და სამიზნე ნიშნულებს, რაც მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდის შემთხვევაში მონაცემები შეგროვდება სამიზნე ნიშნულების და ინდიკატორების გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით. რაც შეეხება არაპირდაპირ შეფასებას, ამ მიზნით ჩატარდება რაოდენობრივი გამოკითხვები პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, და ფოკუს ჯგუფი პროგრამის დამსაქმებლებთან ბსუ-ს ხარისხის კონცეფციის და პროგრამის განხორციელების შეფასების წესის მიხედვით. პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემები აისახება საბაკალავრო პროგრამის პერიოდული შიდა თვითშეფასების ანგარიშში.

პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და შეფასების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელს, მის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კონსულტაციას და დახმარებას უწევს როგორც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, ისე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა. დანართი 1.2.1;
- კურიკულუმის რუკა. დანართი 1.2.2;
- ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი. დანართი 1.2.3;
- სამუშაო ჯგუფის ოქმი №4. დანართი 1.2.4;
- დამსაქმებლებთან შეხვედრის ოქმი №8. დანართი 1.2.5;
- პერსონალის გამოკითხვის შედეგები. დანართი 1.2.6;
- სტუდენტების გამოკითხვა. დანართი 1.2.7;
- დამსაქმებლების გამოკითხვა. დანართი 1.2.8;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. დანართი 1.2.9;
- სწავლის შედეგების შეფასების ელექტრონული სისტემა. დანართი 1.2.10;
- სწავლა-სწავლების მეთოდების განსაზღვრა, სამუშაო ჯგ. ოქმი №5. დანართი 1.2.11;
- პროგრამის სამიზნე ნიშნულები. დანართი 1.2.12;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები. დანართი 1.2.13 .
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის სწავლის მიზნები შესაბამისობაშია შედეგებთან, თუმცა შედეგებში ძალიან ხშირად ვხვდებით ზმნას „შეუძლია“ და ან“ შეძლებს“ ან **„ფართოდ იცის“, „ფართო თეორიული ცოდნის საფუძველზე შეძლებს“, „შეუძლია ფართო ცოდნის საფუძველზე**“. აღნიშნული ფორმულირებით ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები მოკლებულია სიზუსტესა და გაზომვადობას. შესაბამისად, სასურველია ეს ზმნები გაწერილი იყოს ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით და ფორმულირდეს იმგვარად, რომ პროგრამის მიზნების მიღწევადობის დასადგენას, შესაბამისი კვლევის ჩატარების შემთხვევაში, გაზომვადი და შეფასებადი იყოს სტუდენტთა მიერ მიღებული ცოდნა და შესაბამისი კომპეტენციები.

საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომელიც საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით; ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშეა: უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო ორი წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჭიროებს დაზუსტებას,

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. კერძოდ, მისათითებელია ან ზოგადი ფორმულირება ან ჩარიცხვის მეთოდების ამომწურავი ჩამონათვალი, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად. ამასთან, როგორც ჩატარებული ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია როგორც გარე მობილობის, ისე შიდა მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით განსაზღვრული წესების თანახმად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა. დანართი 2.1.1; • „ბსუ–სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი''. დანართი 2.1.2; • კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. დანართი 2.1.3. • ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: მიზანშეწონილია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრა იმგვარად, როგორც ეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტითაა გათვალისწინებული, კერძოდ, ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს. თუმცა თუკი დაწესებულებას სურს ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა უფრო მეტად დაკონკრეტება, ასეთ შემთხვევაში, სასურველია ჩარიცხვის მეთოდები და ჩარიცხვის უფლების მოპოვების მქონე პირთა წრე, დაშვების წინაპირობებში ჩამოთვლილი იქნეს სრულყოფილად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამჟამად, პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობებში, ჩარიცხვის მეთოდების ჩამონათვალი არაამოწურავია, რადგან „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, გარდა პროგრამის წინაპირობებში მითითებულისა, ითვალისწინებს ჩარიცხვის სხვა მეთოდებსაც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის გათვალისწინებით ბსუ-ში შემუშავებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია და ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის აღჭურვას დარგისთვის აუცილებელი კომპეტენციებით, რომლებიც წარმოადგენს ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობას. სასწავლო კურსების მიზანი, სწავლის შედეგი და სწავლების მეთოდები გამომდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნიდან და სწავლის შედეგებიდან. სასწავლო კურსები შინაარსობრივად თანმიმდევრულია და სტუდენტს უყალიბებს დარგობრივ კომპეტენციებს და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს. პროგრამის მოცულობა 240 კრედიტია (1 ECTS კრედიტი შეესაბამება 25 საათს). სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსებს ეთმობა 180 კრედიტი და 60 კრედიტს შეადგენს დამატებითი სპეციალობის კურსები.

გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. სპეციალობის ძირითად სასწავლო სავალდებულო კურსებს ეთმობა 125 კრედიტი, სპეციალობის თავისუფალ არჩევით კურსებს - 20 კრედიტი, 35 კრედიტის ფარგლებში კი სტუდენტები შეისწავლიან საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებს, 60 კრედიტი ეთმობა დამატებითი სპეციალობის სასწავლო კურსებს. 30 კრედიტი განკუთვნილია აკადემიური წერის, ინგლისური ენის შესწავლისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დაუფლებისათვის, რაც ბაკალავრს უადვილებს საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცეში ორიენტირებას, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას და უვითარებს დარგობრივ კომპეტენციებს: პრობლემების გადაჭრის გზების და შედეგების შესახებ წერილობითი ან ზეპირი ფორმით პროექტის, რეფერატის და სხვა დავალების მომზადებას, ინფორმაციის წარდგენას; ჯგუფურ მუშაობას: დისკუსიის, კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

საფაკულტეტო სავალდებულო კურსებს (გეოგრაფიის შესავალი, ბიოლოგიის შესავალი, ქიმიის შესავალი, ეკოლოგიის შესავალი) ეთმობა 20 კრედიტი, რომელთა ერთობლიობა სტუდენტს უქმნის დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებისათვის საჭირო საფუძველს.

ძირითად გეოგრაფიულ დისციპლინებს ეთმობა 125 კრედიტი, მათი ერთობლიობა სტუდენტს მისცემს ცოდნას დედამიწაზე არსებული ობიექტებისა და სისტემების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სივრცით-დროით ასპექტების, აგრეთვე, ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში მომხდარი ცვლილებების განვითარების დინამიკის შესახებ.

გეოგრაფიის სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარ–ჩვევების გამომუშავება. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის სასწავლო კურსების უმეტესი წილი დათმობილი აქვს პრაქტიკულ მეცადინეობას. პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განმტკიცება ხდება აქტიური სასწავლო-საველე პრაქტიკით , შორეული კომპლექსური პრაქტიკები ტარდება, არა მარტო ქვეყნის ფარგლებში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც (მაგ. სომხეთის რესპუბლიკაში).

გეოგრაფიის პროგრამის ძირითადი და დამხმარე დისციპლინები და მათი სილაბუსებით გათვალისწინებული კრიტერიუმების ერთობლიობა, ეროვნული საკვალი-ფიკაციო ჩარჩოს პირველი საფეხურის კვალიფიკაციათა დონის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - გეოგრაფიის ბაკალავრი, შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული დარგის/სპეციალობების ჩამონათვალს.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში ჩართულნი არიან: პროგრამის ხელმძღვანელები, დარგობრივი დეპარტამენტები, აკადე-მიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, ადამიანურ და ფინანსურ რესურსებთან, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, სამეცნიერო პოტენციალთან თანხვედრაშია ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან. ამ მიმართულებით პროგრამის განმახორციელებელი პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობენ - საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. პროფესორ-მასწავლებლებს გავლი-ლი აქვთ პროფესიული განვითარების არაერთი ტრენინგი.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფის მიზნით გამოიყენება შიდა და გარე შეფასებები. პროგრამა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამის ანოტაცია და სასწავლო გეგმა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუებითაც დასტურდება, დამსაქმებლები აქტიურად არიან ჩართულები პროგრამის განვითარების პროცესში. შესაბამისად, ისინი ძირითადად ყუარდღებას ამახვილებენ სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, ცვლილებები შევიდა გეოგრაფიის პროგრამაში, კერძოდ:

- ✓ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცების მიზნით, ზოგად ჰიდროლოგიაში, მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიაში, ზოგად გეომორფოლოგიაში, მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფიაში, მსოფლიო მეურნეობის გეოგრაფიაში, მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივ გეოგრაფიაში, მსოფლიოს ფიზიკურ გეოგრაფიაში და სხვა სასწავლო კურსებში გაიზარდა პრაქტიკული მეცადინეობების წილი;
- ✓ გაიზარდა სასწავლო-საველე პრაქტიკების მოცულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი იხ. ბმული -https://eqe.ge/res/docs/matsne-4480034-0.pdf. დანართი 2.2.1;
- „ბსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი''. დანართი 2.2.2;
- საგანმანათლებლო პროგრამა დანართი 2.2.3;
- სილაბუსები. დანართი 2.2.4;
- შორეული პრაქტიკების მასალები. დანართი 2.2.5;
- კურიკულუმის რუკა. დანართი 2.2.6;
- სამუშაო ჯგუფის გეგმა. დანართი 2.2.7;
- სამუშო ჯგუფის ოქმი №7. დანართი 2.2.8;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო

კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
გეოგრაფიის პროგრამის დარგობრივი, საბაზო-საბუნებისმეტყველო და საუნივერსიტეტო დისციპლინები და მათი სილაბუსებით გათვალისწინებული კრიტერიუმების ერთობლიობა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პირველი საფეხურის კვალიფიკაციათა დონის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსები ერთმანეთისაგან ლოგიკურად გამომდინარეობს და შინაარსობრივად თანმიმდევრულია. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - გეოგრაფიის ბაკალავრი კი, შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული სწავლის სფეროების ჩამონათვალს. სასწავლო კურსი ითვალისწინებს სილაბუსით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა გათვალისწინებულია თითოეული სასწავლო კურსისთვის კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა თანაფარდობაშია კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის კონკრეტული გზები და შეფასების კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრულია სასწავლო კურსის სწავლების ფორმატი (ლექცია, პრაქტიკული მუშაობა და ა. შ.), ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. ლიტერატურა გადახალისდა დარგის სიახლეების გათვალისწინებით. პროგრამის სასწავლო კურსების საკონტაქტო საათების განაწილებაში (ლექცია/პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობა/ჯგუფში მუშაობა) უმეტესი წილი დათმობილი აქვს პრაქტიკულ მეცადინეობას. პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ–ჩვევების განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია აქტიურ სასწავლო-საველე (გეოდეზია, გეოლოგია და მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ჰიდროლოგია) და შორეულ კომპლექსურ პრაქტიკებს, რომელსაც ეთმობა 9 კრედიტი და სტუდენტი გაივლის, როგორც სასწავლო აქტივობის ნაწილს. პრაქტიკული უნარებისა და ელემენტარული მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის სტუდენტი ხელმძღვანელის დახმარებით შეასრულებს საბაკალავრო ნაშრომს, რომელსაც ეთმობა 10 კრედიტი. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია, სპეციალობის არჩევითი დისციპლინები 20 კრედიტის მოცულობით. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის, მიმართულებას, დარგის აქტუალობას და ასევე სფეროს უახლეს მიღწევებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნებთან. პროგრამა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამის ანოტაცია და სასწავლო გეგმა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. **თუმცა, სასწავლო კურსების მიმართ ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა გარკვეული შენიშვნები:** 1. სასწავლო კურსების აბსოლუტურ უმრავლესობაში ზოგადად გაწერილია პრაქტიკულ მეცადინეობებზე თუ რა სახის აქტივობებს ახორციელებენ სტუდენტები, მაგრამ კონკრეტულ პრაქტიკულ საათებზე არაა განსაზღვრული თუ რა თემატური აქტივობა ხორციელდება, მაშინ როდესაც, უმეტეს შემთხვევაში,

პრაქტიკულ მეცადინეობას ეთმობა სილაბუსით გათვალისწინებული კრედიტის მოცულობის შემადგენელი საათების ნახევარზე მეტი. 2. სასწავლო კურსში-მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია, სილაბუსს ახლავს დანართი, სადაც გაწერილია ზოგადი სალექციო თემატიკა, თუმცა არ არის „ჩაშლილი“ არც ერთი საკითხი, ასევე ძირითად ლიტერატურაში მითითებულია „კოტარია ა. მეტეოროლოგიური საფუძვლები. თბილისი-1992“, რაც საკმაოდ მოძველებული წიგნია. 3. სასწავლო კურსში-მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია, VIII-X სალექციო თემატიკას წარმოადგენს -„ევროპის ტურიზმის გეოგრაფია“. მიზანშეწონილია რეგიონალური პრინციპით თემების ჩაშლა (მაგ. დასავლეთ ევროპის, სამხრეთ ევროპის, აღმ.ევროპის). ამით სილაბუსში დაზუსტდება სასწავლო თემატიკა და სტუდენტს ეცოდინება კონკრეტულად ევროპის რომელი რეგიონის ტურისტულ რესურსებს შეისწავლის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა. დანართი 2.3.1; • სილაბუსები. დანართი 2.3.2; • ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროე¬ბის კლასიფიკატორის- https://eqe.ge/res/docs/matsne-4480034-0.pdf . დანართი 2.3.3; • სამუშო ჯგუფის ოქმი №4. დანართი 2.3.4; • სამუშო ჯგუფის ოქმი №5. დანართი 2.3.5; • კურიკულუმის ჯგუფი. დანართი 2.3.6; • ვებ-გვერდი - www.bsu.edu.ge. დანართი 2.3.7. • ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: 1. **სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტის თემატიკა დეტალურად უნდა იყოს გაწერილი;** 2. **განახლდეს ლიტერატურა სასწავლო კურსში-მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასწავლო კურსში-მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია, VIII-X სალექციო თემატიკას წარმოადგენს -„ევროპის ტურიზმის გეოგრაფია“. მიზანშეწონილია რეგიონალური პრინციპით თემების ჩაშლა (მაგ. დასავლეთ ევროპის, სამხრეთ ევროპის, აღმ.ევროპის).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამის კომპონენტები შინაარსობრივად თანმიმდევრულია და სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად უვითარებს პრაქტიკულ, კვლევით და ტრანსფერულ უნარებს. სწავლის შედეგების შესაბამისად. სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალის-წინებულია თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული საქმიანობის თანაფარდობა. აღნიშნული უნარების მისაღწევად, თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს შესაბამის მეთოდებსა და აქტივობებს. მაგალითად, სასწავლო-საველე (გეოდეზია, გეოლოგია და მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ჰიდროლოგია) და შორეულ კომპლექსურ პრაქტიკები სტუდენტს უვითარებს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული და მეთოდური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებს, ხელს უწყობს სამუშაო გარემოსთან ადაპტირებას.

პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს, ჩაერთოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი კვლევითი პროექტების განხორციელებაში, რაც განსაზღვრულია ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკით.

სამეცნიერო კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სასწავლო კურსი - გეოინფორმაციული სისტემები, რომელიც სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერესების შესაბამისად იქნა დამატებული საგანმანათლებლო პროგრამაში.

სამეცნიერო მუშაობა აკადემიური პერსონალისათვის სავალდებულო საქმიანობაა. აკა-დემიურ პერსონალთან ერთად კვლევით პროექტებში მონაწილეობენ სტუდენტებიც, სადაც ისინი იძენენ დამატებით თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, ასევე სამეცნიერო მუშაობის გამოცდილებას. აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით სტუდენტები ასრულებენ საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც ხელს უწყობს პრაქტიკული და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

უნივერსიტეტში აქტიურად მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი. სტუდენტები სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად ყოველწლიურად მონაწილეობენ საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებში. წარმატებული კვლევის მასალები მხარდაჭერილია ბეჭდვითი სახით გამოცემით და დაფინანსებით.

ბსუ-ში ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევების სამსახური და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი. სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით საქმიანობას არეგულირებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განთავსებულია ბსუ-ს ვებ-გვერდზე და სტუდენტის გზამკვლევში.

უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული ან სპორტული თემატიკის სტუდენტთა ინდივიდუალური, ერთობლივი ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსება.

გეოგრაფიის სპეციალობაზე ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია . სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე გამოვლენილი საუკეთესო ნაშრომები იბეჭდება უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში. კონფერენციის ყველა მონაწილეს და სამეცნიერო ხელმძღვანელს გადაეცემა სხვადასხვა ხარისხის დიპლომი და სერთიფიკატი, ხოლო ნაშრომის ავტორებს - ფულადი პრიზები. ამასთან, როგორც ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, სტუდენტები ხშირად მონაწილეობენ საგრანტო კონკურსებში, რომლის საფუძველზე მოპოვებული ფულადი ჯილდოებით, დაფინანსდა დაწესებულებაში სტუდენტური სივრცეების მოწყობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა. დანართი 2.4.1;
- სასწავლო კურსების სილაბუსები. დანართი 2.4.2;
- ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/90 დადგენილება ,,ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ" https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8508 1. pdf . დანართი 2.4.3;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი". დანართი 2.4.4;
- ვებ-გვერდი - www.bsu.edu.ge .დანართი 2.4.5;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის №1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია დებულება: „ბსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე". დანართი 2.4.6;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N02 გადაწყვეტილება, ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური საუნივერს¬ტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ. იხ. ბმული https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9744_1.pdf. დანართი 2.4.7;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდოს დაწესების თაობაზე" ბსუ-სწარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის N05 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე. იხ. ბმული - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9640_1.pdf . დანართი 2.4.8;
- სტუდენტთა კონფერენციების პროგრამები. დანართი 2.4.9.
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
საბაკალავრო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის შერჩეულია რელევანტური სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან, მიზნებთან და შესაძლებელს ხდის კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლებისას გამოიყენება, როგორც თეორიული ისე პრაქტიული სახის სწავლება, და ორიენტირებულია თეორიული ცოდნის პარალელურად შესძინოს სტუდენტს პრაქტიკული თუ საველე უნარ-ჩვევები, ასევე, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების უნარები. სწავლების დროს გამოიყენება: ლექციები და სემინარები; პრაქტიკული სამუშაო, მათ შორის ველზე პროექტზე მუშაობა ინდივიდუალურად და ჯგუფებში; ანალიზი და სინთეზი და ა.შ. სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა და შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზება. ასევე, ხდება სასწავლო პროცესში სტუდენტთა კულტურული კონტექსტის გათვალისწინებაც. საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა კონცენტრირებულია დისციპლინის კომპლექსურ შესწავლაზე - თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებზე, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტზე,

უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და მიმართულია კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე.

სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას, რაც დასტურდება დაინტერესებულ პირთა გამოკითხვების ანალიზით.

მეთოდების სწორად შერჩევის მონიტორინგი ხორციელდება, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განვითარების პროცესში, ხოლო სასწავლო პროცესში მათი გამოყენების ეფექტიანობა დგინდება სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით, რომლის განხორციელებას კოორდინირებას უწევს ხარისხის სამსახური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები. დანართი 2.5.1;
- ,,ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვი¬თარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება. დანართი 2.5.2;
- საგანმანათლებლო პროგრამა. დანართი 2.5.3;
- სწავლება/სწავლის მეთოდები. დანართი 2.5.4.
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სტუდენტების აქტიური ჩართულობა კვლევით პროექტებში

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტუდენტთა შეფასება ასახულია საგანმანათლებლო პროგრამაში და ხორციელდება კანონმდებლობითა და ბსუ-ს მიერ დადგენილი წესის მიხედვით. შეფასების სისტემა გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, რომელიც განთავსებულია ბსუ-ს ვებ-გვერდზე და სტუდენტის გზამკვლევში.

სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს მიმდინარე შეფასებას (ყოველდღიური აქტიურობა, შუალედური შეფასება და შესაბამისი სილაბუსით გათვალისწინებული სხვა კომპონენტები) და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა, ხოლო შუალედურის შეფასებას - მაქსიმუმ 20 ქულა. სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობის ამაღლებისა და სწავლის უწყვეტობის უზრუნ¬ველყოფის მიზნით უნივერსიტეტში დადგენილია შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: მიმდინარე შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 35% (60 ქულის შემთხვევაში - 21 ქულა), დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა).

შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: აქტივობა, კოლოქვიუმი (როგორც წერითი ისე ზეპირი სახით), წერითი (საშინაო დავალება, ტესტი), შუალედური გამოცდა და დასკვნითი გამოცდა. თითოეულ კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

საბაკალავრო ნაშრომის (მომზადება, გაფორმება, დაცვა) შეფასებისათვის განსაზღრულია 100 ქულა და ის ნაწილდება რამდენიმე კომპონენტზე. საბაკალავრო კომისიის წინაშე წარმოდგენილი ნაშრომის პრეზენტაცია ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. შუალედური შეფასების ხვედრითი წილია მაქსიმუმ - 60 ქულა. შუალედური შეფასება მოიცავს: ა) შუალედურ, საბაკალავრო ნაშრომის მიმდინარეობის შეფასებას - 30 ქულა (აფასებს ხელმძღვანელი); ბ) რეცენზენტის შეფასება - 30 ქულა. ნაშრომის დასკვნითი შეფასება ხორციელდება საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე. დაცვა არის საჯარო. სტუდენტი თემას წარმოადგენს პრეზენტაციის ფორმით და აკეთებს აქცენტებს თემის ძირითად დებულებებზე. საჯარო დაცვის შეფასების კრიტერიუმებია: ა) თემის აკადემიური დონე; ბ) პრობლემის დასმა და წარმოჩენა; გ) დასკვნების არგუმენტაცია და დისკუსიაში მონაწილეობა; დ) პრეზენტაციის უნარი. საბაკალავრო ნაშრომი ითვლება შესრულებულად, თუკი ნაშრომის მიმდინარე შეფასებებისა და საჯარო დაცვაზე მიღებული შეფასება შეადგენს 51- 100 ქულას.

შეფასების თანასწორი, სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომების უზრუნველსაყოფად, ბსუ-ში გამოცდები ტარდება შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით, კომისიური წესით. გარდა ამისა, სპეციალურად გამოყოფილი პირი ახდენს დასკვნითი გამოცდების ნაშრომების დაშიფრვას. დაშიფრული ნაშრომები შესაფასებლად გადაეცემა პროფესორ-მასწავლებელს. გამსწორებელი ვალდებულია, უკუკავშირის მიზნით შეფასებულ ნაშრომზე გააკეთოს წერილობითი განმავითარებელი კომენტარები და განმარტოს, კონკრეტულად რა ხარვეზის გამო დააკლდა სტუდენტს ქულა. შეფასებული ნაშრომი მიეწოდება სტუდენტს გასაცნობად. ამგვარი მიდგომა სტუდენტს აძლევს

საშუალებას, გაიაზროს დაშვებული შეცდომები და დაგეგმოს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები. მიღებულ შეფასებაზე არ დათანხმების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს აპელაციის მექანიზმი. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგამოცდო მასალების (საგამოცდო ბილეთები, ტესტები და სხვ.), გამოცდების ჩატარების და სტუდენტთა ნაშრომების შეფასების მონიტორინგს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. დასკვნა და რეკომენდაციები განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. გამოცდების ჩატარების პროცესი რეგულირდება სათანადო ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრებას და შესაბამის პროცედურასაც.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი სისტემატურად ზრუნავს სწავლებისა და შეფასების მეთოდების გაუმჯობესებასა და დახვეწაზე, რაშიც მას ეხმარება ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე გამართულ სამუშაო შეხვედრებში, ტრენინგებში, ვორკშოფებსა და კონფერენციებში მონაწილეობა.

ბსუ-ში შემუშავებულია სასწავლო პროცესში პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების პროცედურა. პლაგიატის პრევენციის და/ან ანტიპლაგიატის გაძლიერების მიზნით ბსუ-ში მოქმედებს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი, რომლის მიზანია ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო უფლებების, სამეცნიერო კვლევების წარმოების, ამ კვლევების შედეგების (ნაშრომი, სტატია, წიგნი, პროექტი ან სხვა პროდუქტი) გავრცელების პროცესში საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი ეთიკური ნორმების და სტანდარტების აღიარება და დაცვა. წესი მიზნად ისახავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულ პირებს მიაწოდოს ეთიკური სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები.

სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგამოცდო მასალის (საგამოცდო ბილეთები, ტესტები და სხვ.), გამოცდების ჩატარების და სტუდენტთა ნაშრომების შეფასების მონიტორინგს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ამასთან, მაქსიმალურად ხდება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებაც. დასკვნა და რეკომენდაციები განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

შეფასების შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალეა და მისი განთავსება ხდება ელექტრონულ პორტალზე.

სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობასთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა შენიშვნა:

სილაბუსების უმრავლესობაში წარმოდგენილია შემდეგი შეფასების კრიტერიუმები: შინაარსობრივი მხარე შეფასებულია - 3 ქულით, აზროვნების თანმიმდევრობა - 2 ქულით, და ა.შ. აუცილებელია თითოეული შეფასება დეტალურად იყოს თითოეული ქულის დონეზე ჩაშლილი, რაც სტუდენტთა შეფასებას უფრო ეფექტურს გახდის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა. დანართი 2.6.1;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №06-01/50 დადგენილება ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“. დანართი 2.6.2;
- ვებ-გვერდი - www.bsu.edu.ge .დანართი 2.6.3;
- სასწავლო კურსების სილაბუსები. დანართი 2.6.4;
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია. დანართი 2.6.5;
- ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ. დანართი 2.6.6;
- ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის №06-01/71 დადგენილება ,,ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის“ შესახებ. დანართი 2.6.7;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. დანართი 2.6.8;
- ელექტრონული პორტალი. დანართი 2.6.9.
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

აუცილებელია ყველა სილაბუსში თითოეული შეფასება დეტალურად იყოს ჩაშლილი თითოეული ქულის დონეზე, რაც სტუდენტთა შეფასებას უფრო ეფექტურს გახდის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების კონსულტირებას და კარიერული განვითარების მხარდაჭერას უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი. სტუდენტს აქვს საშუალება მიიღოს საჭირო ინფორმაცია და კონსულტაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალისგან. აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის ხელშე-კრულები/სამუშაო აღწერილობები ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციებს. გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა, სტუდენტს აქვს უფლება კონსულტაციისთვის მიმართოს ლექტორს ელექტრონული ფოსტით, ასევე მობილური ტელეფონის საშუალებით. სასწავლო დეპარტამენტებში განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის კონსულტაციების დღეების გრაფიკი, რომელიც გამოკრულია ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე. სტუდენტს აქვს უფლება მიმართოს სასწავლო დეპარტამენტს ინდივიდუალურ მუშაობაში დახმარებისათვის, რაზეც დეპარტამენტი ახდენს რეაგირებას კონკრეტულ პედაგოგთან შეთანხმებით. უნივერსიტეტში არსებობს კურატორობის სისტემა, რომელშიც ჩართულია ძირითადი პერსონალი. კურატორები დახმარებას უწევენ სტუდენტებს როგორც სასწავლო პროცესთან, ასევე კულტურულ და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებზე. უნივერსიტეტი სხვადასხვა საკითხებზე სტუდენტთა ინფორმირებას ახდენს მოკლე ტექსტური (SMS) შეტყობინებებით.

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტში განსაზღვრულია ჩატარდეს სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე.
უნივერსიტეტში გამართულად მუშაობს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობით სტუდენტები ეცნობიან სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებს. სტუდენტებს აქვთ წვდომა უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა უნივერსიტეტის ელექტრონულ პორტალზე მიიღონ ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.
კონფერენციებში მონაწილეობის მიღების მიზნით, უნივერსიტეტს აქვს საფაკულტეტო დაფინანსების სისტემა, სადაც სტუდენტს დადგენილი კონკურსის გზით შეუძლია მოიპოვოს მიზნობრივი დაფინანსება.
უნივერსიტეტას აქვს შემუშავებული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომლის განხორციელებას უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელობასთან კოორდინირებული მუშაობით.
სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტთა მხარდამჭერ სხვადასხვა ღონიძიებებს, შექმნილია ერთიანი სტუდენტური პორტალი, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას სტუდენტური სერვისებით.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან უნივერსიტეტში დაინერგა ელექტრონული პლატფორმა www.apa.bsu.edu.ge. აღნიშნული პორტალი შექმნილია უნივერსიტეტის მიერ, რომელზე დაშვება უზრუნველყოფილია პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისთვის.

პორტალზე წვდომა აქვს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს. ონლაინ სწავლების პირობებში, უზრუნველყოფილი იქნა zoom პლატფორმისა და აღნიშნული პორტალის კავშირი, რომლის მეშვეობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი პერიოდულად ესწრება მათ მიერ ჩატარებულ ლექცია-სემინარებს და ახორციელებს შეფასებას.

სტუდენტებისა და სასწავლო კომპონენტების განამახორციელებელი პერსონალისათვის, ონლაინ სწავლების პირობებში, ასევე უზრუნველყოფილია სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებებისა თუ შუალედური და საბოლოო გამოცდების შეფასების შემდგომ, სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული შეფასების ქულის განმარტების შესაძლებლობა, სადაც ასახულია ინფორმაცია თუ რატომ მიიღო სტუდენტმა კონკრეტულ დავალებაში ესა თუ ის ქულა. აღნიშნული ფუნქციონალი ამცირებს სტუდენტების მიერ მიღებული შეფასების გასაჩივრების მაჩვენებელს, ვინაიდან მათთვის დეტალურადაა ცნობილი ამ შეფასების თაობაზე განმარტება.

გარდა აღნიშნულისა, პორტალზე ასევე უზრუნველყოფილია სტუდენტთა მიერ პროფესორ-მასწავლებლების შეფასების შესაძლებლობა, რომელიც ანონიმურია და არასავალდებულო. როგორც ხარისხის სამსახური აღნიშნავს, ამ მიდგომამ (ანონიმურობა და არასავალდებულოობა) საკმაოდ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო, ვინაიდან სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს აქტიურად აფასებენ პროფესორ-მასწავლებლებს,

პლატფორმაზე ინტეგრირებულია სტუდენტების პირადი მონაცემები (CV- ის სტანდარტიზებული მოდელი), რომლის მეშვეობით, დამსაქმებლებს აქვთ შესაძლებლობა, მათთვის სასურველი კრიტერიუმების ფილტრაციის მეშვეობით, მოიძიონ დასაქმებისა თუ სტაჟირებისათვის სასურველი კანდიდატების თაობაზე მონაცემები და გაუგზავნონ შესაბამისი მოთხოვნა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. თავის მხრივ, სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია მუდმივად განახლებადი ინფორმაცია დასაქმების თუ სტაჟირების თაობაზე. აღნიშნული პორტალის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური, რომლის წარმომადგენლის განცხადებით, პორტალის დანერგვის შემდგომ, ეტაპობრივად მუდმივად მიმდინარეობს მისი განახლება და განვითარება, უნივერსიტეტში მიმდინარე სამუშაო და სასწავლო პროცესების სრულად დაფარვის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • გასაუბრება სტუდენტებთან; • უნივერსიტეტის ვებგვეერდი; • ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 23 აპრილის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულება“; • სტუდენტური პორტალი; • საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდოს დაწესების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის №05 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება აკადემიური (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) და მოწვეული (უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი) პერსონალის მიერ. უნივერსიტეტის წესდების, მისიისა და სტრატეგიული გეგმის, მოქმედი კანონმდებლობის, ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად და პერსონალის მართვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხდება ღია კონკურსის წესით. აკადემიური პერსონალის ფუნქციები დამტკიცებულია ფაკულტეტის დებულებით.

აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხდება პირის პროფესიული კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების, მისი კომპეტენციისა და პიროვნულობის შესაბამისობით საკონკურსო თანამდებობასთან. კონკურსის დროს მხედველობაში მიიღება დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია სწავლების სამივე დონეზე; ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსების ჩამონათვალი – ძირითადი კურსის სილაბუსით; ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი; სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სასწავლო და სამეცნიერო გრანტები და საერთაშორისო პროგრამები) და სხვა. მასწავლებელთა მოწვევა ხორციელდება კონკურსის წესით, შესაბამისი მიმართულებით მუშაობისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

ყოველ სასწავლო კურსს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კომპეტენტური აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტი უძღვება. სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი თითოეული პერსონალის კომპეტენციის შესაბამისობა განათლების, კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილების და სხვა მონაცემთან, რის საფუძველზეც არიან ისინი პროგრამაში ჩართული.

გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის 4 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი და 4 მოწვეული მასწავლებელი. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში ჩართულია ბსუ-ს სხვა ფაკულტეტის აკადემიური პირები: 4 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი. სულ 21 პროფესორ-მასწავლებელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სხვა ღონისძიებების განხორციელებისათვის. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიურ პირთა და მოწვეულ მასწავლებელთა თანაფარდობაა 14/7. საგანმანათლებლო პროგრამას ემსახურება აგრეთვე 2 წამყვანი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პირების და მოწვეული მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, წარდგენილი მოხსენებები, გამოქვეყნებული ნაშრომები, სახელმძღვანელოები ადასტურებს, რომ აკადემიურ პირებს და მოწვეულ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია, უზრუნველყონ გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიღება სასწავლო კურსების სილაბუსებიდან და პერსონალის CV-იდან პირადი საქმეებიდან (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და ხელშეკრულებები ინახება ადამიანური რესურსების სამსახურში) არის შესაძლებელი.

აკადემიურ პირთა სავალდებულო წლიური დატვირთვის ოდენობა კატეგორიების მიხედვით განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელსაც

ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. დადგენილებით განსაზღვრულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვა, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობა და შრომის ანაზღაურების წესი.

ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირს, ბსუ-სთან აფილირების გათვალისწინებით „ა“, „ბ“, ან „გ“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს, რის შესაბამისადაც გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული 21 აკადემიური პირიდან 17 ბსუ-სთანაა აფილირებული.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის დადგენილებით ,,ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“ - მკაფიოდ არის განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებები და უფლება-მოვალეობები. გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათ-ლებლო პროგრამის ხელმძღვანელები არიან გეოლოგია-მინერალოგიის დოქტორი, პროფესორი ანთაზ ქიქავა და გეოგრაფიის დოქტორი, პროფესორი მერაბ ფუტკარაძე. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მათი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით, რაც აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობენ გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და აკრედიტაციისათვის მომზადებაში, ასევე, სისტემატიური კონტაქტი აქვს, როგორც სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან; მათთან ერთად გეგმავენ ჩასატარებელ ღონისძიებებს, უზრუნველყოფენ მათ ჩართულობას გამოკითხვის პროცესში; ასევე, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმებისა და სტაჟირების მიზნით ურთიერთთანამშრომლობენ დამსაქმებლებთან. მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, აქტიურად არიან ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და სისტემატურად ზრუნავენ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე და გეოგრაფიის დეპარტამენტში. ფაკულტეტის ხელმძღვანელობის (დეკანი, დეკანის მოადგილეები) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გარდა, საფაკულტეტო დონეზე პროგრამას ემსახურება 1 წამყვანი სპეციალისტი. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, ასევე, სპეციალისტის ფუნქციები საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულებით არის განსაზღვრული. მათ მუდმივი კონტაქტი აქვთ სტუდენტებთან და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პროგრამის განხორციელებაში. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს. ბსუ-ში პროგრამის განვითარებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით პერიოდულად ხორციელდება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო პროცესის შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ბსუ-ს წესდება - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_749_1.pdf **დანართი 4.1.1;**
2. ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_60_1.pdf **დანართი 4.1.2;**
3. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №4 გადაწყვეტილება „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ დამტკიცების თაობაზე https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8536_1.pdf **დანართი 4.1.3;**
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულება -

https://bsu.edu.ge/sub-11/page/3-92/index.html **დანართი 4.1.4;**

5. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №03 გადაწყვეტილება "ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის“ დამტკიცების თაობაზე - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8558_1.pdf **დანართი 4.1.5;**
6. სამუშაო ჯგუფის ოქმი #7. **დანართი 4.1.6;**
7. ადამიანური რესურსი. **დანართი 4.1.7;**
8. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV. **დანართი 4.1.8;**
9. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და ხელშეკრულებები **დანართი 4.1.9;**
10. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №2 გადაწყვეტილება - ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე” ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. **დანართი 4.1.10;**
11. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილების კოდიფიცირებული დანართი N1. ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესი https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8559_1.pdf **დანართი 4.1.11;**
12. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის დადგენილება ,,ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი, https://bsu.ge/text_files/ge_file_8380_1.pdf **დანართი 4.1.12;**
13. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების CV. **დანართი 4.1.13;**
14. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ იხ. ბმულზე https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8568_1.pdf **დანართი 4.1.14;**
15. სტუდენტთა გამოკითხვა. **დანართი 4.1.15;**
16. პროგრამის შეფასების შედეგები. **დანართი 4.1.16**.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა მიზნად ისახავს აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმის სრულყოფას, სწორედ ამიტომ შემუშავდა ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი. იგი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, სილაბუსების განხილვა-სრულყოფის, სასწავლო მასალის მომზადების პროცესში, სამეცნიერო ღონისძიებებსა და საგრანტო პროექტებში პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობის შეფასებას, სასწავლო პროცესების მონიტორინგს, სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივ ანალიზს, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას და სხვა.

ბსუ-ში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონენტებს, ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს მიერ დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ მთავარი პრინციპებია: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხი; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა; პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია; სასწავლო რესურსებისა და სერვისების მაღალი ხარისხი; სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია; პერიოდული და ეფექტური მონიტორინგი, შეფასება და რეაგირება. სწორედ, აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად იქნა შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ზემოთ ხსენებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი.

აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის კრიტერიუმებშია გათვალისწინებული, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობას და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას უწყობს ხელს.

გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული

პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, აქვეყნებენ სახელმძღვანელოებს და სამეცნიერო ნაშრომებს უცხოეთის და ადგილობრივ გამოცემებში, მონაწილეობენ საგრანტო პროექტებსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ორგანიზებულ სამეცნიერო სემინარებში. ბსუ-ს ადმინისტრაცია ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე; ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. რასაც ადასტურებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი, რომელიც არეგულირებს აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში (კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე, ტრენინგზე, სეზონურ სკოლაში ან/და სხვა სამუშაო შეხვედრაზე) მონაწილეობის/ მივლინების დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

ბსუ-ში დასაქმებული პირი უფლებამოსილია პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობა მიიღოს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ ღონისძიებებში, არაუმეტეს ერთი თვის ვადისა და მოითხოვოს ბსუ-ს ბიუჯეტით გათვალისწინებულ ფარგლებში სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება. სამივლინებო ხარჯებს არეგულირებს პერსონალის მივლინების ადმინისტრირების წესი. საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელებას ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაში პროფესორ-მასწავლებლებისათვის ხელშეწყობის გადაწყვეტილება, რისთვისაც თანადაფინანსების პრინციპით მოქმედებს ინგლისური ენის სერტიფიცირებული კურსები.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი შიდა საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი ან/და ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვა და მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდა, თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება. მიზნობრივი პროექტის შერჩევის მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი. კონკურსის ჩატარების წესი და პროცედურა კონკრეტულად არის გაწერილი ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ მიღებული დადგენილებით.

აკადემიურ პერსონალს შეუძლია ელექტრონულად დარეგისტრირდეს ტრენინგ-კურ-სებზე, რომელთა შესახებ ინფორმაციაც მათ მიეწოდება ელექტრონული პორტალის https://portal.bsu.ge საშუალებით.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის განვითარებას ემსახურება უნივერსიტეტის საზაფხულო/ზამთრის სკოლის ჩატარების ხელშეწყობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ, რისთვისაც ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების მიზნით ცხადდება შიდა კონკურსი. რექტორის ბრძანებით (ბსუ-ს ბიუჯეტში შესაბამისი ფინანსური რესურსიდან გამომდინარე) ცხადდება კონკურსი, რომლითაც განისაზღვრება კონკურსის ჩატარების ვადები, შესაბამისი მიმართულება, დაფინანსების ზღვრული ოდენობა, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა საჭირო ინფორმაცია.

უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას ემსახურება ადმინისტრაციის მიერ პერსონალის წამახალისებელი ღონისძიებების სისტემა, რაც რეგულირდება ბსუ-ს შინაგანაწესის და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დადგენილი რეგულაციებით.

ბსუ-ს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც თანხვედ-რაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, ადამიანურ და ფინანსურ რესურსებთან, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, სამეცნიერო პოტენცი-ალთან. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზანია: სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესების ინტერნაციონალიზაცია და გულისხმობს გაცვლით პროგრამებში პროფესორების, მკვლევარებისა და სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას, საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, უცხოელი სტუდენტების მოზიდვას და უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიურ თანამშრომლობას და კვლევების ინტერნაციონალიზაციას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიური პირები აქტიურად თანამშრომლობენ უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან, აწარმოებენ ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან (პორტუგალია, ესტონეთი, ესპანეთი, იტალია, თურქეთი), მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ატარებენ ღია (საჯარო) ლექციებს. საერთო კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში, მათ შორის Web of science-ის ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალებში.

ბსუ-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ხელშეწყობით პერიო-დულად ხდება უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მოწვევა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, რაც ხელს უწყობს, როგორც პერსონალის პროფესიულ ზრდას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას ხელს უწყობს აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამა „უმაღლესი განათლების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც არა ერთი ღონისძიება დაფინანსდა, როგორც ზოგადად უნივერსიტეტში, ასევე, უშუალოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე.

2014 წლიდან ბსუ-ს მიერ ხდება აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე და სხვა მსგავს ღონისძიებაზე მონაწილეობის დაფინანსება. პერიოდულად ტარდება ტრენინგები სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის შესახებ“; იხ. ბმულზე - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8568_1.pdf დანართი 4.2.1;
2. პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა - https://apa.bsu.edu.ge დანართი 4.2.2;
3. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №06-01/91 „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ შესახებ. დანართი 4.2.3;
4. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №4 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ შესახებ. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8536_1.pdf დანართი 4.2.4;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლო-ბითი საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის 04 გადაწყვეტილების - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესის დამტკიცების

თაობაზე https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_10664_1.pdf დანართი 4.2.5;

6. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 5 სექტემბრის ბრძანება ბსუ-ს პერსონალის მივლინების ადმინისტრაციული წესის დამტკიცების შესახებ. https://bsu.ge/text_files/ge_file_10665_1.pdf დანართი 4.2.6;
7. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის N36 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების შესახებ. https://bsu.ge/text_files/ge_file_6256_1.pdf დანართი 4.2.7;
8. ელექტრონული პორტალი https://portal.bsu.ge დანართი 4.2.8;
9. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის N113 დადგენილება ბსუ-ში ,,საზაფხულო/ზამთრის სკოლის“ ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9317_1.pdf დანართი 4.2.9;
10. ბსუ-ს შინაგანაწესი https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_884_1.pdf დანართი 4.2.10;
11. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 13 ივლისისს №04 გადაწყვეტილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“. დანართი 4.2.11;
12. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/95 დადგენილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“; https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_12970_1.pdf . დანართი 4.2.12;
13. ტრენინგები სწავლების მეთოდებზე. დანართი 4.2.13
14. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, კაბინეტები, ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, სპორტული ბაზები და საკონფერენციო დარბაზები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და საბიბლიოთეკო რესურსი, როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდები. აგრეთვე, ბსუ დარეგისტრირებულია პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის - eLFL“ კონსორციუმის წევრად, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესუსები: EBSCOHost (http://search.epnet.com), (Cambridge University Journals (http://journals.cambridge.org), OxfordUniversityJournals (http:/oxfordjournals.org), Oxford Reference Online (http://oxfordreference.org), Royal Society Journals Collection (http://royalsocietypublishing. org), BioOne (http://bioone.org)).

ბსუ-ს ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული ვერსიები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ბსუ-ს მეორე კორპუსში არსებული ინტერნეტ-ქსელში ჩართული სხვა კომპიუტერული კლასებიც.

გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს ბსუ-ში ფაკულტეტთან არსებული გეოლოგია-მინერალოგიისა და ტოპოგრაფია-კარტოგრაფიის კაბინეტი, ფიზიკური გეოგრაფიის კაბინეტი, დედამიწისმცოდნეობის კაბინეტი, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიები.

ბსუ-ში ფუნქციონირებს სინქრონული თარგმნის აპარატურით აღჭურვილი კაბინეტები, საკონფერენციო დარბაზი, სააქტო და სპორტული დარბაზი, ღია მოედანი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ კალათბურთის, რაგბის, ფრენბურთის, ფუტსალის, კრივის, მაგიდის ჩოგბურთისა და მკლავჭიდის წრეებში, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოს საუნივერსიტეტო ლიგისა და საუნივერსიტეტო ჩემპიონატის თამაშებში.

სასწავლო კორპუსები უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით, სველი წერტილებით, ცენტრალიზებული გათბობის სისტემით. უსაფრთხოების

დაცვის მიზნით კორპუსში განლაგებულია ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენი სახანძრო ონკანები, მითითებულია აუცილებელი ტელეფონის ნომრები, გამოკრულია ევაკუაციის გეგმები. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესების შესახებ. უნივერსიტეტს გააჩნია სამედიცინო პუნქტი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის კორპუსები აღჭურვილია პანდუსებით. ასევე, პანდუსითაა დაკავშირებული ერთმანეთთან 1-ლი და მე-2 კორპუსი. გარდა ამისა, მე-2 სასწავლო კორპუსს ეზოს მხრიდან აქვს პანორამული ლიფტი შშმ პირთათვის. ბსუ-ს მე-2 კორპუსის ნულოვან სართულზე განთავსებულია კვების ბლოკი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. ბსუ-ს მატერიალური და ტექნიკური რესურსი; კომპიუტერული კლასები; კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები. ბსუ-ს ვებგვერდი https://www.bsu.edu.ge. **დანართი 4..3.1**; 2. ბსუ–ს ბიბლიოთეკა http://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-237/index.html. **დანართი 4. 3.2;** 3. ელექტრონული წიგნები. https://biblio.bsu.edu.ge/home/index.php https://lib.bsu.edu.ge/index.php?action= დანართი 5. **დანართი 4.3.3.** **4.**ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დათვალიერებისა და ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ფინანსურად მხარდაჭერილია, ერთი მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სტუდენტთა გრანტებით, სტუდენტთა სასწავლო გადასახადებით და მეორე მხრივ, უნივერსიტეტის ბიუჯეტით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება, კვლევითი პროექტების დაფინანსება, რეაქტივების, ლიტერატურის, კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული დანადგარებისა და სხვა ინვენტარის შეძენა, სტიპენდიისა და სასწავლო–სოციალური პროგრამების დაფინანსება, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები. არსებული აკადემიური და ტექნიკური რესურსები იძლევა იმ ოდენობის კონტინგენტის მაღალხარისხიანი მომზადების საშუალებას, რაზეც კეთდება განაცხადი პროგრამაზე აბიტურიენტთა მისაღებად. საუნივერსიტეტო ბიუჯეტით დაბალანსებულია პროგრამის განხორციელებისათვის გაწეული ხარჯები და შემოსავლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი - ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 18 დეკემბრის №07-01/102 გადაწყვეტილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“. **დანართი 4.4.1;** 2. პროგრამის ბიუჯეტი. **დანართი 4.4.2.** 3. **ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები**
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგების მიხედვით, ბსუ ხარისხის უზრუნველყოფას შიდა მექანიზმების მეშვეობით, არეგულირებს ორი ძირითადი შიდა აქტით: 1. წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის №10 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“

2. აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით მოწესრიგებულია აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები, რომელიც ადგენს, რომ უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას, რომელშიც მონაწილეობენ აგრეთვე უნივერსიტეტის სტუდენტები და რომლის შედეგების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის უზრუნევლყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ამასთან, სამსახურის მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს:

1. უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნა და სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;
2. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების გამჭვირვალე სისტემის შექმნა;
3. ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
4. სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
5. ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის და სხვა საერთაშორისო სისტემებში თანამშრომლობის ხელშეწყობა.

შესაბამისად, უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც

ა) ეფუძნება უწყვეტობის, გამჭვირვალობის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს;

ბ) ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობის უწყვეტ შეფასება-განვითარებას, მდგრადობასა და შიდა ხარისხის კულტურის ზრდას;

გ) ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, დამსაქმებლები და სხვ.) მონაწილეობას.

ხარისხის პოლიტიკის განხორციელება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა;

- პერსონალის შეფასებისა და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა;
- სასწავლო რესურსებისა და სერვისების ხარისხის გაუმჯობესება;
- სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
- პერიოდული და ეფექტური მონიტორინგის, შეფასების და რეაგირების სისტემის გაუმჯობესება.

უნივერსიტეტს ზემოხსენებული პრინციპების რეალიზაციისათვის, შემუშავებული და დანერგილი აქვს შესაბამისი მექანიზმები:

- სასწავლო პროცესის მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურები;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურები;
- ბსუ-ს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და განვითარების პროცედურები;
- სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასებისა და სრულყოფის პროცედურები;
- სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროცედურები;
- პერიოდული კვლევების წარმოება და რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნული მექანიზმების შემუშავებასა და ამოქმედებაზე პასუხიმგებელია ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ბსუ-ს რექტორის მოადგილე და მათდამი დაქვემდებარებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. ამასთან, ამ მექანიზმების განხორციელებისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი მარეგულირებელი შიდა აქტები.

დაწესებულებაში მოქმედებს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N37 დადგენილებით დამტკიცებული „აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“, რომლის მე-4 მუხლის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) ახორციელებს სასწავლო პროცესის, მათ შორის საგამოცდო პროცესის, მონიტორინგს;

ბ) ატარებს სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი ან/და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვებს;

გ) საჭიროების შემთხვევაში ახდენს ინტერვიუირებას;

დ) ახორციელებს სასწავლო მასალების განახლების მონიტორინგს;

ე) აწარმოებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს;

ვ) საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსისა და შესაბამისი მასალის ექსპერტიზას.

ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების შედეგების საფუძველზე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივნისის N66 დადგენილებით დამტკიცებული „სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“ და აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილებით დამტკიცებული „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“. აღნიშნული აქტებით გაწერილია პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები და ამ შეფასების შედეგებზე რეაგირებისა თუ წახალისების ღონისძიებები. შესაბამისი შეფასებისათვის საჭირო კითხვარების ფორმები დამტკიცებულია შიდა აქტებით.

პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შემოწმება გულისხმობს შეფასებას, შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით: საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და სრულყოფის პროცესში ჩართულობა; სასწავლო კურსების სილაბუსების სისტემატიური განახლებისა და სრულყოფის პროცესში მონაწილეობა;სასწავლო მასალების (სალექციო/ჯგ.მუშაობის, დავალებების მასალა და სხვა) შემუშავება, განახლება და სრულყოფა; შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალის მომზადება; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის (გამოკითხვების) შედეგები; ცოდნის შეფასების სისტემის გამჭვირვალობის ხარისხი (სტუდენტთა ინფორმირებულობა მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ); სტუდენტთა შეფასებების (მიმდინარე, შუალედური, დასკვნითი) სტატისტიკური ანალიზი; სტუდენტების ინტერვიუირების შედეგები; ლექციების/ჯგ.მუშაობის/პრაქტიკულის/ლაბორატორიულის/სხვა მონიტორინგი; სტუდენტთა კონსულტირება; სხვა აკადემიური აქტივობა (სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა, სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული შეფასებები ხორციელდება ელექტრონული პლატფორმის (www.apa.bsu.edu.ge) გამოყენებით. აღნიშნული პორტალი შექმნილია უნივერსიტეტის მიერ, რომელზე დაშვება უზრუნველყოფილია პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისთვისაც კი. შესაბამისად, პერიოდულად, პროგრამის მიზნებისათვის განსახორციელებელი კვლევები და შეფასებები, ზემოხსენებული კატეგორიის პირთა წრისათვის ხორციელდება ელექტრონულად. მიღებული შედეგების საფუძველზე, სტატისტიკისა და ანალიზის წარმოების ფუნქციონალი უზრუნველყოფილია ამავე პორტალზე, რაც საშუალებას აძლევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, მისთვის საჭირო ინფორმაციის საფუძველზე, მოახდინოს სათანადო რეაგირება. ამასთან, როგორც უნივერსიტეტის პერსონალთან (როგორც ადმინისტრაციული თანამდებობის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები, ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალი), სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან ინტერვიუმ დაადასტურა, აღნიშნულ პორტალს უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს მათთან ურთიერთობისათვის. პორტალზე წვდომა აქვს უნივერსიტეტის რექტორს, რომელმაც დაადასტურა, რომ აქტიურად ეცნობა ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევებისა და შეფასების შედეგებს. აკადემიური პერსონალის განცხადებით, ონლაინ სწავლების პირობებში, უზრუნველყოფილი იქნა zoom პლატფორმისა და აღნიშნული პორტალის კავშირი, რომლის მეშვეობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი პერიოდულად ესწრება მათ მიერ

ჩატარებულ ლექცია-სემინარებს და ახორციელებს შეფასებას.

სტუდენტებისა და სასწავლო კომპონენტების განამახორციელებელი პერსონალისათვის, ონლაინ სწავლების პირობებში, ასევე უზრუნველყოფილია სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებებისა თუ შუალედური და საბოლოო გამოცდების შეფასების შემდგომ, სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული შეფასების ქულის განმარტების შესაძლებლობა, სადაც ასახულია ინფორმაცია თუ რატომ მიიღო სტუდენტმა კონკრეტულ დავალებაში ესა თუ ის ქულა. ამასთან, სტუდენტების განცხადებით, ისინი იშვიათად იყენებენ შეფასების გასაჩივრების მექანიზმებს, ვინაიდან ყოველი შეფასების შემდგომ ცნობილია მათთვის კონკრეტული შეფასების მიღების თაობაზე შესაბამისი განმარტება. გარდა აღნიშნულისა, პორტალზე ასევე უზრუნველყოფილია სტუდენტთა მიერ პროფესორ-მასწავლებლების შეფასების შესაძლებლობა, რომელიც ანონიმურია და არასავალდებულო. როგორც ხარისხის სამსახური აღნიშნავს, ამ მიდგომამ (ანონიმურობა და არასავალდებულოობა) საკმაოდ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო, ვინაიდან სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს აქტიურად აფასებენ პროფესორ-მასწავლებლებს, რაც საჭიროა და ეხმარება ხარისხის სამსახურის სრული და ობიექტური სურათის მიღებაში, პროგრამისა თუ სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარებისა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრისათვის. პორტალზე ასევე ინტეგრირებულია სტუდენტების სასწავლო კალენდარი, სადაც ხორციელდება მათთვის შესაბამისი დავალებებისა და ლიტერატურის უზრუნველყოფა.

პლატფორმაზე ინტეგრირებულია სტუდენტების პირადი მონაცემები (CV- ის სტანდარტიზებული მოდელი), რომლის მეშვეობით, დამსაქმებლებს აქვთ შესაძლებლობა, მათთვის სასურველი კრიტერიუმების ფილტრაციის მეშვეობით, მოიძიონ დასაქმებისა თუ სტაჟირებისათვის სასურველი კანდიდატების თაობაზე მონაცემები და გაუგზავნონ შესაბამისი მოთხოვნა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. თავის მხრივ, სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია მუდმივად განახლებადი ინფორმაცია დასაქმების თუ სტაჟირების თაობაზე.

როგორც პროგრამის თვითშეფასებაზე მომუშავე ჯგუფმა აღნიშნა, მათ განსაკუთრებით დაეხმარა ზემოხსენებული პორტალი ტექნიკური თვალსაზრისით, პროგრამის სააკრედიტაციოდ მზადების პროცესში, ვინაიდან გაამარტივა დისტანციური მუშაობის პროცესი და იმავდროულად, შესაძლებლობა მისცა თვითშეფასების ჯგუფს, მაქსიმალურად სრულყოფილი სურათი მიეღო კურსდამთავრებულების, სტუდენტების, დამსაქმებლებისა თუ პერსონალის გამოკითხვების შედეგების საფუძველზე, პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული პორტალის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური, რომელსაც შესაბამისი ფუნქციები გაწერილი აქვს სამსახურის დებულებით.

როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი გეორგაფიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, მასზე თანდართული დოკუმენტები და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგები ცხადყოფს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პოლიტიკა ეფუძნება PDCA ("დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე") ციკლს, რომლის განხორციელება უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი

აქტებით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ.

შენიშვნა: პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხს უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან პროგრამის მოდიფიცირებისა და განვითარების მიზნებისათვის, რაშიც ასევე ჩართულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. თუმცა როგორც აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, იკვეთება პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელების უფრო მეტი ურთიერთთანამშრომლობის საჭიროება. მიზანშეწონილია უზრუნველყოფილ იქნეს უფრო აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა ხარისხის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელებსა და პერსონალს შორის, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
2. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის №40 დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილება „„ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“
4. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
5. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
6. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
7. დამსაქმებელთა გამოკითხვა;
8. ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/90 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
9. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები https://bsu.edu.ge/sub27/page/262/index.html
10. სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N5 გადაწყვეტილება „სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.
11. პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა www.apa.bsu.edu.ge
12. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუები

უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია უზრუნველყოფილ იქნეს უფრო აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა ხარისხის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელებსა და პერსონალს შორის, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ელექტრონული პლატფორმის (www.apa.bsu.edu.ge) შექმნა და განვითარება, რომლითაც უზრუნველყოფილია ხარისხის შიდა მექანიზმების დანერგვა და განხორციელება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტი იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გარე შეფასების მექანიზმებს, რომლებიც ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას," ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას" და „აკრედიტაციის სახელმძღვანელოს". უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის, ასევე თვითშეფასების

წლიური ანგარიში წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია ასევე აისახება ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშშიც. უნივერსიტეტის სისტემატიურად იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების შედეგებს (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა და სხვ.), განიხილავს მას და მიღებულ რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით.

გარე შეფასების ფარგლებში (კოლეგიალური შეფასება), გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამა წარედგინა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის პროფესორს

გარე შეფასება განხორციელდა ასევე დამსაქმებელთა მონაწილეობით, რომელთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები კურიკულუმში, კერძოდ:

- ✓ დაემატა სასწავლო კურსი - გეოინფორმაციული სისტემები;
- ✓ გაიზარდა არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა;
- ✓ გაიზარდა პრაქტიკული საათების წილი;
- ✓ გაიზარდა სასწავლო-საველე პრაქტიკების რაოდენობა.

დამსაქმებლების გამოკითხვის და მათთან შეხვედრების საფუძველზე, დგინდება, რომ დამსაქმებლების მეტწილად დადებითად აფასებენ კურსდამთავრებულთა მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობას, დამოუკიდებლობის (ავტონომიურობის) და პასუხისმგებლობის ფლობის უნარს. დამსაქმებელთა უმრავლესობა თვლის რომ კურსდამთავრებულთა პროფესიული მომზადება სავსებით დამაკმაყოფილებელია, ხოლო ხარვეზების თვალსაზრისით გამოყოფენ პრაქტიკული სამუშაოსთვის მზაობა/უნარები, რომელსაც აფიქსირებს გამოკითხულთა ნაწილი . .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
2. საგანმანათლებლო პროგრამა.
3. ბსუ-ს ხარისხის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები
4. პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება.
5. დამსაქმებელთა გამოკითხვა.
6. დამსაქმებელთა შეხვედრის ოქმი#8.
7. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.
8. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა არამხოლოდ სააკრედიტაციოდ მზადების

მიზნებისათვის, არამედ რეგულარულად გამოიყენოს პროგრამის გარე შეფასების ისეთი მექანიზმი, როგორიცაა გარე ექსპერტიზა (განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება და სხვ.). ამასთან, პროგრამას მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პროგრამის შეფასება ამ დაწესებულებების იმ პერსონალის მიერ, რომლებიც ჩართულები არიან მსგავსი პროგრამების განხორციელებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას, შემუშავებას, განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც გულისხმობს ლექციებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს. სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები. ბსუში 2017 წლიდან ამოქმედდა სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების

დამუშავების ელექტრონული სისტემა სტუდენტური პორტალი. პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ფასდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად ხორციელდება შესაბამისი გამოკითხვის მასალების შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

პროგრამის შეფასების შიდა მექანიზმებს წარმოადგენს: სტუდენტთა გამოკითხვა, სასწავლო პროცესის მონიტრინგის შედეგები, სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენების ანალიზი, გამოცდების ორგანიზების, საგამოცდო მასალების მომზადების და გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი, ურთიერთდასწრების ანალიზი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება და სხვ. პროგრამის გარე შეფასების მექანიზმებს კი წარმოადგენს: კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტიზა და სხვა.

შეფასების შედეგების გამოყენებით, ხარისხის სამსახური ახორციელებს რეკომენდაციების შემუშავებას, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება. რეკომენდაციები განიხილება დარგობრივ დეპარტამენტებში, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებზე. სწორედ ამ პროცედურის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის თაობაზე.

როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული და ინტერვიუს განმავლობაში დადგინდა, გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობდნენ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. კითხვარი მოიცავდა კითხვებს პროგრამის მიზნების, სწავლა-სწავლების მეთოდების, საბიბლიოთეკო რესურსის სასწავლო კურსებთან შესაბამისობის, უნივერსიტეტის მატერიალური-ტექნიკური ბაზის, ცოდნის შეფასების სისტემის, პროგრამის ხელმძღვანელის შეფასების თაობაზე, ასევე გამოკითხულთა მოსაზრებების შესახებ, თუ რის შეცვლას ისურვებდნენ პროგრამაში.

შედეგების ანალიზის გათვალისწინებით არსებული რეკომენდაციებით განხორციელდა რიგი ცვლილებები, კერძოდ:

- ✓ სასწავლო პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსი - ,, გეოინფორმაციული სისტემები -GIS“ ;
- ✓ პრაქტიკული უნარ-ჩვევების სრულყოფის და სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით რიგ სასწავლო კურსებს დაემატა პრაქტიკულის საათები;
- ✓ განახლდა სწავლა-სწავლების მეთოდები;
- ✓ გაიზარდა სასწავლო-საველე და შორეული პრაქტიკების საათების რაოდენობა;
- ✓ პროგრამაში გაიზარდა არჩევითი კურსების რაოდენობა;
- ✓ შეიცვალა სასწავლო კურსის „მსოფლიოს ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფის“ დასახელება და იგი ასე ფორმულირდა: „მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია“;
- ✓ განახლდა და კეთილმოეწყო მინერალოგია-პეტროგრაფიის და ტოპოგრაფია-კარტოგრაფიის კაბინეტები;
- ✓ შეძენილი იქნა ხელსაწყო GPS;

- ✓ ზოგადი დედამიწისმცოდნეობის და მსოფლიოს ფიზიკური გეოგრაფიის კაბინეტებში განახლდა რუკები და ატლასები.

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის შედარება მოხდა რამდენიმე უცხოური უნივერსიტეტის (აშშ-ის ვაშინგტონის შტატის სიეტლის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთის ედინბურგის უნივერსიტეტი, შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტი, უნგრეთის პეჩის უნივერსიტეტი) გეოგრაფიის სპეციალობის პროგრამებთან.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციების, შესაბამისი მექანიზმებისა და ინტერვიუს შედეგები ცხადყოფს, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით, ხოლო შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე უნივერსიტეტი ახდენს პროგრამის, ასევე შეფასების სისტემის მოდიფიცირებას და ადაპტირებას, მისი განახლების უზრუნველსაყოფად. გარდა აღნიშნულისა, უზრუნველყოფილია სტუდენტების მიერ სემესტრის ბოლოს განვლილი სასწავლო კომპონენტის შეფასება სხვადასხვა კრიტერიუმებით, რომლის შედეგებს განიხილავს ხარისხის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელებსა და შესაბამის აკადემიურ პერსონალთან ერთად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“; https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8380_1.pdf
2. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
3. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება ,,ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;
4. პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა www.apa.bsu.edu.ge
5. სტუდენტთა გამოკითხვები
6. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები
7. პროგრამის შეფასების შედეგები, გამოკითხვა;
8. პროგრამის ანალოგები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან
9. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს

სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 55

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

მალხაზ ღვინჯილია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

მარიამ ელიზბარაშვილი

სოფიო უგრეხელიძე

ნინო დეკანოიძე